

უკანონო მიგრაციის მართვის მექანიზმები საქართველოში

სალომე არველაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: არჩილ აბაშიძე, ასოცირებული პროფესორი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

სალომე არველაძე

თბილისი, __ ივნისი, 2018

აბსტრაქტი

წარმოდგენილი ნაშრომი ეძღვნება საქართველოში უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით არსებულ მექანიზმებსა და გამოწვევებს. ნაშრომში ძირითადი ყურადღება გამახვილებულია უკანონო მიგრაციის პრევენციის კუთხით სახელმწიფოს მიერ შემუშავებულ რეგულაციებზე, ნორმებსა და ინსტრუმენტებზე. ნაშრომში ასევე, განხილულია უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩართული სხვადასხვა უწყებების კომპეტენციები, მათი ურთიერთთანამშრომლობის ფორმები და აღნიშნული მიმართულებით საერთაშორისო თანამშრომლობა. ამასთან, ნაშრომში განხილულია სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ღონისძიებები უკანონო მიგრაციის მიმართულებით საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კუთხით.

ბოლო პერიოდის განმავლობაში მიგრაციული პროცესები, განსაკუთრებით კი უკანონო მიგრაცია სულ უფრო და უფრო აქტუალური ხდება თანამედროვე მსოფლიოსთვის, გამომდინარე იმ საფრთხეებიდან და გამოწვევებიდან რომელსაც წარმოქმნის უკონტროლო მიგრაციული ნაკადები და რომლის წინაშეც დგებიან სახელმწიფოები. აღნიშნულ საკითხი პრიორიტეტული გახდა საქართველოსთვისაც რაც მზარდ მიგრაციულ ნაკადებთან ერთად განაპირობა ევროკავშირთან სავიზო ლიბერალიზაციის პროცესმა და შემდგომში თანამშრომლობის გაღრმავების სურვილმა.

თემის აქტუალობიდან გამომდინარე საჭირო გახდა ინტერვიუების ჩატარება როგორც სახელმწიფო უწყებების ისე საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. რომლის საფუძველზეც გამოიკვეთა, რომ საქართველოს დღეს უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით აქვს ჩამოყალიბებული მექანიზმები, რომლებიც ითვალისწინებს ადამიანის უფლებებისა და საუკეთესო ინტერესების დაცვასაც, თუმცა გარკვეული ნაწილი კვლავ საჭიროებს დახვეწას და ამასთან დგას სხვა დამატებითი მექანიზმების განვითარების აუცილებლობაც.

ძირითადი საძიებო სიტყვები: უკანონო მიგრაცია, კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფი პირი, გამეფება, რეადმისია, ვიზა, ბინადრობა, სახელმწიფო საზღვარი.

Abstract

The work is devoted to the mechanisms and challenges of Georgia's policy toward combating irregular migration. The work emphasizes regulations, norms and instruments elaborated by the state to prevent irregular migration. The work also discusses the competencies of different state agencies involved in fighting against irregular migration, forms of their cooperation and international cooperation. In addition the work discusses the measures taken by the state in terms of raising public awareness toward irregular migration.

Recently, migration process in general and particularly irregular migration has become an acute issue for the contemporary world, and due to the uncontrolled migration flows countries face lots of challenges and threats. The above mentioned issue has become a priority for Georgia because of growing flow of migrants to the country and because of Visa Liberalization agreement between Georgia and European Union and the desire to deepen further cooperation.

Based on the importance of the issue, it was inevitable to conduct interviews with representatives of state agencies and international organizations. Based on the information obtained during the interviews it is obvious that today Georgia has established mechanisms for combating irregular migration, which includes protection of human rights and best interests. However, some aspects of it should be refined and additional instruments for development have to be elaborated.

Keywords: Irregular Migration, Irregular Migrant, Expulsion, Readmission, Visa, Residence, State Border.